



77/3-113/22 2 12012022

77/3-113/22

12-01-2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ლევან დავითაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- დათვლილი თუ არა საქართველოში წყლის რა რაოდენობის რესურსებია, ასევე ცოცხალი ორგანიზმებისთვის ხელმისაწვდომი მტკნარი წყალი რამდენს შეადგენს
- სახელმწიფოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვა წყლის რესურსებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინერო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1876/01
28/02/2022

1876-01-2-202202281039



საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

2022 წლის 12 იანვრის N77/3-113/22 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ინფორმაციის მოწოდებას საქართველოში მტკნარი წყლის რესურსების რაოდენობრივი მონაცემებისა და ასევე, წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, გაცნობებთ შემდეგს:

გასული საუკუნის 60-იან და 80-იან წლებში საქართველოში არსებობდა მდინარეებზე ჰიდროლოგიური მონიტორინგის საკმაოდ ფართო ქსელი. ფუნქციონირებდა 400-ზე მეტი ჰიდროლოგიური სადამკვირვებლო პუნქტი და ჰიდროლოგიური დაკვირვებებით მოცული იყო ქვეყანაში არსებული ყველა დიდი და საშუალო მდინარე და ცალკეული პატარა მდინარეებიც. კომპლექსური კვლევების შედეგად, ზემოაღნიშნულ წლებში საქართველოში ზედაპირული წყლის რესურსების მოცულობა 78 კმ³/წელიწადში განისაზღვრა. რაც შეეხება საქართველოში მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსებს, 90-იანი წლების დასაწყისამდე, უწყვეტი ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგი 500-მდე წყალპუნქტზე - ჭაბურღილებზე, წყაროებსა და საყოფაცხოვრებო ჭებზე წარმოებდა. ჩატარებული კომპლექსური დეტალური კვლევებისა და რეჟიმული მონიტორინგის საფუძველზე, მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყალი 573 მ³/წმ (18.07 კმ³/წელიწადში) ოდენობით განისაზღვრა და ბუნებრივად უმაღლესი ხარისხის სასმელი თვისებებით დახასიათდა.

90-იანი წლებიდან ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის შედეგად, თითქმის მთლიანად მოიშალა ჰიდროლოგიური დაკვირვების სისტემები და პრაქტიკულად შეწყდა ცენტრალიზებული ჰიდროგეოლოგიური კვლევები. მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების მონიტორინგი თითქმის ორ ათეულ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აღარ ხორციელდებოდა.

ამჟამად ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 65-მდე ჰიდროლოგიური სადგური, რომლებზეც დამონტაჟებულია წყლის დონის მზომი ავტომატური ხელსაწყოები. წყლის ხარჯების სამუშაოები მხოლოდ ექსპედიციური გზით, პორტატიული ხარჯის მზომი ხელსაწყოების მეშვეობით არაავტომატურ რეჟიმში წარმოებს. მიწისქვეშა წყლების ძირითადი რეჟიმული პარამეტრებისა და წყლის ხარისხობრივი მახასიათებლების გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება 66 წყალპუნქტზე.

იმისათვის, რომ ხელმისაწვდომი იყოს სრული ინფორმაცია საქართველოში როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა წყლების შესახებ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ხდება ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ქსელის ყოველწლიური გაფართოება და მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერება, როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური რესურსის კუთხით. გარდა ამისა, მონიტორინგის ქსელის აღდგენა/მოდერნიზების პროცესი საერთაშორისო ორგანიზაციების და დონორი ქვეყნების დახმარებითაც მიმდინარეობს. მაგალითად, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც დასრულდება 2023 წელს, გათვალისწინებულია წყლის დონის მზომი ავტომატური ხელსაწყოების შეძენა. შესაბამისად, ამ დროს უკვე გვექნება მეტ-ნაკლებად რეალურთან მიახლოებული ინფორმაცია საქართველოში ზედაპირული წყლის რესურსების მოცულობის შესახებ.

ინფორმაციისთვის, ასევე გაცნობებთ, რომ 2021 წელს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ მომზადდა და გამოიცა საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიური ანგარიში - „საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება (არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციები)“. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია დეტალურად მოიცავს იმ ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა ეტაპობრივი განხორციელება აუცილებელია მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი მართვისთვის.

რაც შეეხება სახელმწიფოს მოკლევადიან და გრძელვადიან ხედვას წყლის რესურსების მართვის სფეროში, გაცნობებთ, რომ სახელმწიფოს მოკლევადიან ხედვას წარმოადგენს **წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დაახლოება ევროკავშირის დირექტივებთან**. აღნიშნული მიზნის განხორციელებას საკანონმდებლო საფუძველს უქმნის „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის დირექტივებს და რომელიც წყლის რესურსების მართვის ძირეულად ახალ, სააუზო მართვაზე დაფუძნებული მოდელის დანერგვას უზრუნველყოფს. კანონი დანერგავს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპებს, რაც გულისხმობს წყლის რესურსების კომპლექსურ დაცვას და მდგრად გამოყენებას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, წყალმოსარგებლებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ინტეგრირებული მართვის ერთ-ერთ მექანიზმს სწორედ მდინარეთა სააუზო მართვა წარმოადგენს.

როგორც მოგეხსენებათ, „წყლის რესურსების მართვის“ შესახებ კანონის პროექტი წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში 2021 წლის 15 ნოემბერს.

სახელმწიფოს გრძელვადიან ხედვას წარმოადგენს წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა ინტეგრირებული მართვის სისტემის სრულყოფილად დანერგვისა და განხორციელების გზით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

